ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3867563

ნომერი: AR1565091

თარიღი : 15.12.2017

გაცემის თარიღი : 22.03.2018

გაცნობის თარიღი : 22.03.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ინტენსიფიკაციის გზის მიმდებარედ, ნაკვეთი 14/047 ; ქალაქი თბილისი , ინტენსიფიკაციის გზის მიმდებარედ, ნაკვეთი 14/047 ; ქალაქი თბილისი , ინტენსიფიკაციის გზის მიმდებარედ, ნაკვეთი 14/047 ; ქალაქი თბილისი , ინტენსიფიკაციის გზის მიმდებარედ, ნაკვეთი 14/047 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ოთარ ხოფერია პ/ნ 01031004436
- თბილისი ს.კანდელაკის ქ. N 2 ბ. 24

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის
2017 წლის 3 აგვისტოს №3423820 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 15 ოქტომბერს AR565091 განცხადებით მომართა მოქალაქე ოთარ ხოფერიამ და მოითხოვა 2017 წლის 3 აგვისტოს №3423820 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს 2017 წლის 20 ივლისის N29 სხდომის ოქმისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 01 აგვისტოს N1- 1706 ბრძანების გათვალისწინებით, 2017 წლის 3 აგვისტოს №3423820 ბრძანებით ოთხ საკადასტრო ერთეულზე (N01.14.16.014.183; 577 კვ.მ, N01.14.16.014.182, 446 კვ.მ, N01.14.16.014.181, 456 კვ.მ, N 01.14.16.014.180 517 კვ.მ) დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები ოთხი ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით და განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განისაზღვრა: კ2=1,0.
დღევანდელი მდგომარეობით მიწის ნაკვეთების წითელი ხაზების კორექტირების შედეგად შეცვლილია მიწის ნაკვეთების კოდები, კონფიგურაცია და ფართობები - N (01.14.16.014.074, 499 კვ.მ, N01.14.16.014.073, 499 კვ.მ, N01.14.16.014.072, 499 კვ.მ, N01.14.16.014.071, 499 კვ.მ). ცვლილება ასევე შევიდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 01 აგვისტოს N1- 1706 ბრძანებაში.

ვინაიდან, კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, საკადასტრო ერთეულის ცვლილება უნდა აისახოს სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დამკვეთის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 3 აგვისტოს №3423820 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში და დაფიქსირდეს განახლებული საკადატრო მონაცემები:

1. საკადასტრო კოდი: 01.14.16.014.074 განცხადების ნომერი: 892017208744 მომზადების თარიღი: 15/12/2017, ფართობი: 499 კვ.მ)
2. საკადასტრო კოდი: 01.14.16.014.073 განცხადების ნომერი: 892017208744 მომზადების თარიღი: 15/12/2017, ფართობი: 499 კვ.მ)
3. საკადასტრო კოდი: 01.14.16.014.072 განცხადების ნომერი: 892017208744 მომზადების თარიღი: 15/12/2017, ფართობი: 499 კვ.მ)
4. საკადასტრო კოდი: 01.14.16.014.071 განცხადების ნომერი: 892017208744 მომზადების თარიღი: 15/12/2017, ფართობი: 499 კვ.მ

2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 28 სექტემბრის №2184454 ბრძანებით დამკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებთან და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 26 თებერვლის N1- 81 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი ჟ. შარტავას ქუჩა №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი

თვის ვადაში.